ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, 2022 წლის შესრულებული სამუშაოს ანგარიში

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტი - 454 000 ლარი

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება

ბიუჯეტი: 304 000

პროგრამები:
1. კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა (მუხლი: 05.02.01) - 84 000
2. კულტურული ტურიზმის ხელშეწყობის მუხლი 70 000 (მუხლი: 05.02.02) -70 000
3. კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ხელშეწყობა (მუხლი: 05.02.03) – 30 000
4. ახალგაზრდული მიმართულება (მუხლი: 05.03) – 70 000
5. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (მუხლი: 05. 01) – 50 000

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

1. <u>კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა</u>

1. 7 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტრადიციული „ალილო" გაიმართა. სადღესასწაულო მსვლელობა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უსახლკარო და შშმ პირებისათვის კვების პროდუქტები შეიძინა.

2. 13 იანვარი - "კალანდა გურიაში" კალანდობის დღესასწაულის ჩატარება თეატრალიზებული სახით, რომლის მიზანია, გურული ტრადიციების აღდგენა და საახალწლო დღესასწაულის მოწყობა ეთნო-გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაციას. ძველით ახალი წელი - „კალანდა 2022“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში ეთნოგრაფიულ სივრცეში, ყველა ძველი ტრადიციის დაცვითა და რიტუალით ჩატარდა.

3. საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა, 3 - 8 მარტი, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება ,9 აპრილი, 9 მაისი, 12 მაისი, 26 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი), ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა პატივის მიგება, მეორე მსოფლიო მის ვეტერანთა დაფასება, შშმ პირთა და საეკლესიო დღეების აღნიშვნა.

4. 17 ოქტომბერი -სოფელ ლიხაურში სახალხო დღესასწაული „ექვთიმეობა-2022“ აღინიშნა, ღონისძიება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმში მოეწყო.

5. ნოემბერი - სახალხო დღესასწაული ,,ალეგრობა-2022'' ჩატარება, სახალხო დღესასწაულის მიზანია სოფლის ტრადიციების, შემოქმედების, წესჩვეულებების წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციას.

6. მთავარი ნაძვის ხის ანთებასთან დაკავშირებით ღონისძიების ორგანიზება.

7. მთავარი საახალწლო ნაძვის ხის მორთვა.

8. საახალწლოდ გადასაცემი ნობათის შეძენა - გადაცემა.

2. კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

1. კულტურული ტურიზმის პოტენციალის ამაღლება, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია (საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება და სხვა)

2. შეკვეთილში, მუსიკოსთა პარკში ტურიზმის ეროვნულ დეპარტამენტთან ერთად ჩატარდა „ჩაის ფესტივალი". ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ასევე სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულმა მეწარმეებმა.

3. ახალგაზრდული მიმართულება

1. ახალგაზრდული მიმართულებით - ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა წარმატებული პედაგოგები და მოსწავლეები, რომლებმაც გაიმარჯვეს კონკურსში,, წერე ქართულად".

2. 12 - აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებამ, სსიპ ახალგაზრდულ სააგენტოსთან ერთად ჩაატარა ,,ახალგაზრდული ფესტივალი" რომელიც მოიცავდა ახალგაზრდული სერვისებისა და შესაძლებლობების გამოფენას. (ტექნო პარკი, კოლეჯი ჰორიზონტი", წითელი ჯვარი, დასაქმების სააგენტო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრი, ერაზმუს + შესაძლებლობები) ასევე ჩატარადა სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი კონკურსები(Kahoot) კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა წამახალისებელი პრიზებით და გადაეცათ ფულადი ჯილდო. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ასევე მოხალისეებმა, რომლებმაც ჩაატარეს ,,ქუჩის კალათბურთის" მინი ჩემპიონატი და ჩოგბურთის ჩემპიონატი. ღონისძიება დახურა თბილისიდან მოწვეულმა DJ .

3. ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა.
4. დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილ ღონისძიებაზე ,,ტექნოლოგიური ბანაკი" შერჩეულ ჯგუფებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

5. – „Street Art ოზურგეთისთვის ფარგლებში გრაფიკული ნახატებით მოიხატა მრავალბინიანი კორპუსის ფასადები (მერაბ კოსტავას ქ. N 129, დავით აღმაშენებლის N4 , ილია ჭავჭავაძის ქ.N8, ვიქტორ დოლიძის N7, N4-ე საჯარო სკოლის ფასადი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე არსებული კედელი,აპოლონ წულაძის ქ.N 7). პროექტის მიზანია ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების - ქუჩის მხატვრობის, ფოტოგრაფიის, შემოქმედებითი ინსტალაციის, ურბანული და კონცეპტუალური ხელოვნების, შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის
განვითარების ხელშეწყობა; ასევე ტურიზმის პოტენციალის ზრდა და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა.

<u>4. სპორტის მიმართულება</u>

1. ,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა", საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადის ორგანიზებაში მონაწილეობს, როგორც საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფედერაცია, ასევე სპორტული აიპები და სიპები, ღონისძიებაში ჩართულია მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 42 საჯარო და სამრევლო სკოლების 1500 მოსწავლეებისაგან (900 ვაჟი, 600 ქალი) შემდგარი სპორტული გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ მუნიციპალურ, ხოლო შემდეგ რეგიონალურ და ფინალურ შეხვედრებში სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ტენისი, კროსი, ფრენბურთი. ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად იმართება პროექტი ,,მოყვარულთა თასი" მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებს შორის (სხვადასხვა რაოდენობის გუნდები გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს, დაახლოებით 8 -10 გუნდი, 200 მდე მოყვარული ფეხბურთელები, 15 -29 წლის მამაკაცები)ტურნირები, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. 2.,, 2 2

2. საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცია' ,,გურიის კიბერსპორტის ფედერაციასთან ერთად ყოველწლიურად ატარებს ტურნირებს, რომელშიც მონაწილეობას იღებს (სავარაუდოდ) 200-მდე ახალგაზრდა ვაჟი 16 წლიდან 30 წლამდე.

3. ჭიდაობის, ფეხბურთის რაგბის, ტაეკვანდოს, ძიუდოს, ფარიკაობის, კალათბურთის,

4. მძლეოსნობის, ჭადრაკის, ფრენბურთის წრეზე დადის 6-დან 18 წლამდე 1404 ბავშვი . მათ შორის 1251 ბიჭია და 153 გოგო.

5. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

6. სამოყვარულო ფეხბურთის გუნდებისთვის შეძენილი იქნა სპორტული უნიფორმა.

7. პროგრამული ბიუჯეტიდან შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი.

8. ჭადრაკის და შაშის პოპულარიზაციის და განვითარების ხელშეწყობა.

განათლების განყოფილება

ბიუჯეტი: 150 000

პროგრამები

1. ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 90 000 ლარი (04.02)
2. არაფორმალური განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა - 60 000 ლარი (04.03)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

1. <u>ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან განხორციელებული პროექტები:</u>

1. ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახე.სამრევლო სკოლა - მცირე ინფრასტრუქტურული სამუშოები
2. 100%-იანი ეროვნული სახელმწიფო გრანტის მფლობელი წარმატებული კურსდამთავრებულებისთვის წამახალისებელი ჯილდო 3000 ლარი
   7 კურსდამთავრებულს
3. 100%-იანი გრანტის მფლობელი კურსდამთავრებულთა სკოლებისთვის 1000 ლარი - 6 სკოლა

4. სოფელ ბაილეთის საჯარო სკოლისთვის პროექტორის შეძენა
5. სოფელ კვირიკეთის საჯარო სკოლისთვის ბიბლიოთეკისთვის წიგნის თაროების შეძენა
6. სოფელ გურიანთის სკოლის ბიბლიოთეკისთვის წიგნის თაროების შეძენა
7. სოფელ მელექედურის საჯარო სკოლისთვის სინთეზატორის შეძენა
8. სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლისთვის ლეპტოპის შეძენა
9. დაბა ნარუჯის საჯარო სკოლისთვის ლეპტოპისა და მაუსის შეძენა
10. წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლისთვის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება
11. ოზურგეთის N4 საჯარო სკოლისთვის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება
12. სოფელ ვაკიჯვარის საჯარო სკოლისთვის ლეპტოპის შეძენა
13. სოფელ ცხემლისხიდის საჯარო სკოლისთვის ბიბლიოთეკის ინვენტარის შეძენა (პუფები და მაგიდები)
14. სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლისთვის კომპიუტერის შეძენა
15. ოზურგეთის N3 საჯარო სკოლისთვის ინვენტარის შეძენა
16. დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლისთვის სინტეზატორის შეძენა
17. მასწავლებლის საერთაშორისო დღე - ღვაწლმოსილი 5 პედაგოგის დაფასება. ფულადი ჯილდო 500 ლ და თაიგულები
18. სოფ.შემოქმედის საჯარო სკოლისთვის ციფრული ფორტეპიანოს შეძენა
19. ციხისფერდის საჯარო სკოლისთვის შეძენილ იქნა კომპიუტერი სრული კომპლექტით
20. 16 ნოემბერი . ტოლერანტობის საერთაშორისო დღე - მუსლიმი აჭარლების, მესხებისა და ქრისტიანი გურულების თანაცხოვრებასთან დაკავშირებული ღონისძიება

2. <u>არაფორმალური განათლების და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამიდან განხორციელებული პროექტები:</u>

21. 3 დეკემბერი - შშმ პირების საერთაშორისო დღე (26 ბენეფიციარი) ღონისძიება.
22. ძალადობის კვირეულთან დაკავშირებით ორდღიანი ტრენინგის ჩატარება (60 ქალბატონი)
23. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე - ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად, დაბა ნასაკირალში გაიმართა ღონისძიება
24. შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ეტლით მოსარგებლე 9 სკოლის მოსწავლეს შევუძინეთ სამახსოვრო საჩუქარი
25. სოციალურად დაუცველი ნიჭიერი სტუდენტის , შშმ პირის ხელშეწყობა
26. ტრენინგი - ფონდი ,,აი ია ''
27. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. საჩუქრები/ღონისძიება
28. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ლატვიის ვალდორფის სკოლის მოსწავლეების სტაჟირება. ერთობლივი პროექტის განხორციელება
29. 1 ივნისი -ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა
30. სოციალურად დაუცველი ნიჭიერი სტუდენტის ხელშეწყობა
31. სოციალურად დაუცველი ნიჭიერი სტუდენტის ხელშეწყობა
32. შშმ პირის, არაფორმალური განათლების მიღებაში დახმარება,კომპიუტერის შეძენა
33. საერთაშორისო კამპანია ,,ვარდისფერი ოქტომბრის" კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიებები
34. ძალადობის წინააღმდეგ ბროლის საერთაშორისო კამპანიაში ჩართვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების შედეგები და ეფექტი

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 21 საჯარო სკოლაში განხორციელდა მცირე მოცულობის კაპიტალური პროექტები ასევე, პროექტის ფარგლებში მოხდა საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ ინიციირებული პროექტების მხარდაჭერა.
- წახალისდა ის პედაგოგები, ახალგაზრდები და ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ განათლებისა და ხელოვნების სფეროში
- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მოზარდების ინტეგრაცია და სოციალიზაცია. მათთვის საჭირო დამატებითი ადამიანური, სასწავლო და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ღონისძიებებსა და ტრენინგებზე დამსწრე ბენეფიციართა ინფორმირებულობა, კმაყოფილება, კომუნიკაციების გაღრმავება და სამომავლო გეგმების ერთობლივი დასახვა.
- ხელშეწყობილ იქნა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია
- უზრუნველვყავით სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წავახალისეთ წარმატებული სპორტსმენები და მწვრთვნელები.
- შევქმენით პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციასა დაშემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაში.
- ჩატარებული კულტურული ღონისძიებებით,ხელი შევუწყვეთ მოსახლეობის ჩართულობას კულტურულ ცხოვრებაში.
- ხელი შევუწყვეთ ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ადამიანებს
-